საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/31 **24/11/2023**

რეკომენდაცია/დასკვნა უწყვეტი სამედიცინო განათლების ონლაინ-მოდულზე: „მოციმციმე არითმიის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე“

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს რეცენზირებისთვის წარედგინა ონლაინ სასწავლო მოდული „მოციმციმე არითმიის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე“, რომელიც მომზადდა ხარისხის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ, ჩეხეთის კარიტასის პროექტის ფარგლებში “პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“. აღნიშნული სასწავლო კურსი ეყრდნობა 2023 წელს დამტკიცებულ ეროვნულ პროტოკოლსა და გზამკვლევს პირველად ჯანდაცვაში წინაგულთა ფიბრილაციის (მოციმციმე არითმიის) მართვის შესახებ.

მოციმციმე არითმიის გავრცელება მატულობს ასაკთან ერთად და შესაბამისად, მოსახლეობის დაბერების ტენდენცია ხელს უწყობს ამ დაავადების გავრცელების მატებას, რაც მასთან დაკავშირებული გართულებების გამო, სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემისთვის.

სიცოცხლის განმავლობაში მოციმციმე არითმიის განვითარების რისკი 40-დან 95 წლამდე ასაკში შეადგენს 26%-ს მამაკაცებისთვის და 23%-ს ქალებისთვის. გულის ჰიპერტენზიული ავადმყოფობა და გულის კორონარული დაავადება, მოციმციმე არითმიასთან ასოცირებული ყველაზე ხშირი თანმხლები პათოლოგიებია და ხშირად ართულებს დაავადების მკურნალობას. წინაგულთა ფიბრილაციის სიხშირის მატებასთან ერთად მატულობს ინსულტის, სხვა თრომბოემბოლიური გართულებების, გულის უკმარისობის გამო ჰოსპიტალიზაცია, ავადობისა და სიკვდილიანობის რისკი. შესაბამისად, ამ დაავადების ადეკვატური მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე და სხვადასხვა სპეციალისტებს შორის ეფექტური კოორდინაცია, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირების თვალსაზრისით.

ონლაინ კურსის შინაარსი წარმოდგენილია საინტერესოდ, ვიზუალურად მარტივად აღსაქმელი ფორმით, მოიცავს კლინიკური შემთხვევების და პრაქტიკული სავარჯიშოების განხილვას. შეფასების პრე- და პოსტ-ტესტები საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მსმენელის მიერ მიღებული ცოდნა.

თავად სასწავლო კურსის სტრუქტურა და ონლაინ ფორმატი მეტად ხელმისაწვდომს ხდის მას სამედიცინო პროფესიონალებისთვის და უზრუნველყოფს დიდი რაოდენობით მედპერსონალის გადამზადების შესაძლებლობას.

მოცემული სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს წინაგულთა ფიბრილაციის მართვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჩარევების დანერგვას, დაავადების მულტიდისციპლინური მართვის პრინციპების განხორციელებას და ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის ეფექტურ კოორდინაციას, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონეებს შორის მომსახურების ფრაგმენტაციას, დადებით ზეგავლენას მოახდენს საავადმყოფოს რესურსებზე და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსავლებზე, გააუმჯობესებს წინაგულთა ფიბრილაციის მართვის ეფექტურობას, კლინიკურ გამოსავლებს და პაციენტის გამოცდილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი დადებითად აფასებს წარმოდგენილ ონლაინ სასწავლო მოდულს „მოციმციმე არითმიის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ და რეკომენდაციას უწევს ექიმთა პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.11.24 12:02:24